ეკა დარბაიძე *

თამილა ნიპარიშვილი **

ადრეული საბჭოთა კავშირის გენდერული პოლიტიკა

აბსტრაქტი

საუკუნეების განმავლობაში არაერთი ქალი იდგა ქალთა ემანსიპაციის, მათი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისათვის ბრძოლის ავანგარდში. ქალთა ემანსიპაციის კუთხით მუშაობა თავდაპირველად ბოლშევიკური იდეოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომაც 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ახალი იმედები და მოლოდინები მოუტანა ქალებს. საბჭოთა კავშირი პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც წარმატებით გაუხსნა კარი დიდი ხნის მარგინალიზებული ქალების ახალი ეკონომიკური და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. ლენინის მიერ შემუშავებული და განხორციელებული გენდერული პოლიტიკა, რომელმაც ფართო უფლებები მოუტანა ქალებს, მისი გარდაცვალების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. სწორედ საბჭოთა ხელისუფლების ახალი ლიდერის მმართველობის პერიოდში შეიქმნა და ჩამოყალიბდა „ახალი ტიპის ქალი"-ს მოდელი.

სტატიის მიზანია ქალთა როლის კვლევა საბჭოთა სახელმწიფოს ადრეულ პერიოდში და გატარებული სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების შესწავლა. ავტორები ცდილობენ ახსნან, თუ რა იყო რეალურად საბჭოთა გენდერული პოლიტიკის უმთავა-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, პოლიტიკის დოქტორი.

** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

რესი მიზანი, შეცვალა თუ არა მან ქალთა სტატუსი და რა მოუტანა სოციალიზმმა საბჭოთა ქალებს.

საკვანძო სიტყვები: ქალები საბჭოთა კავშირში, ბოლშევიკური რევოლუცია, კომუნიზმი, გენდერული პოლიტიკა.

შესავალი

XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა კავშირი ლიდერ სახელმწიფოს წარმოადგენა მსოფლიოში ქალთა შრომის გამოყენებით, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორის განვითარებაში. ქალების, როგორც შრომითი რესურსის ფართოდ გამოყენება შესაძლებელი გახდა რიგი სპეციალური გარემობებისა და წინა პირობების შექმნით. უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური იდეოლოგიის ძირითადი პრინციპებით, როგორც კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ამტკიცებდნენ, კლასობრივი ჩაგვრის უპირველესი გამოვლინება იყო ქალის ჩაგვრა მამაკაცის მიერ, რაც გამოწვეული იყო კერძო საკუთრების არსებობით და მათი განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი. (Marx, Engels, Lenin, Stalin, London, 1950, p 36) შესაბამისად, საბჭოთა თეორეტიკოსები ბოლშევიკურ რევოლუციას მიიჩნევდნენ, როგორც შესაძლებლობას, რომელიც გაანთავისუფლებდა ქალებს მრავალსაუკუნოვანი მონობის ბორკილებისაგან.

1917 წლის რევოლუციამ მოხსნა ყველა ის საკანონმდებლო შეზღუდვა, რომელიც ქალებს არასრულფასოვან მდგომარეობაში აყენებდა, აღიარა სქესთა შორის თანასწორობა და დაპირდა ეკონომიკურ გაძლიერებას დასაქმების უზრუნველყოფით. 1918 წლის საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციის 22-ე მუხლი აცხადებდა საბჭოთა რესპუბლიკაში ყველა მოქალაქის თანასწორობას, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნებისა და 64-ე მუხლში დააწესდა ქალის უფლება, აერჩიათ ან არჩეული ყოფილიყვნენ მამაკაცებთან თანაბარ

პირობებში, 1920 წელს კი მოხდა აბორტის ლეგალიზება (Constitution of the Russian Soviet Federated Socialist Rebulic,1918). აღნიშნული ცვლილებები კიდევ ერთხელ იქნა შეტანილი 1936 წლის კონსტიტუციის 122-ე მუხლში, რომელიც ქალებს მამაკაცების მსგავსად ანიჭებდა თანაბარ უფლებებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში (Constitution of the Union of Soviet Socialist Republics, 1936).

ყველა ეს ცვლილება ერთი შეხედვით რეალიზებადი მოჩანდა, ვინაიდან თავად ლენინი იყო დაინტერესებული ქალთა ემანსიპაციით და მათთვის თანასწორობის მინიჭებით, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია ვერ განხორციელდებოდა, თუ მასში მშრომელი ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მიიღებდა მონაწილეობას. ლენინი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მილიონობით მშრომელი და ჩაგრული ქალების გადაბირება კომუნიზმის მხარეს, თვლიდა, რომ ქალები პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლით უნდა დაინტერსებულიყვნენ. ქალების ყურადღება და ნდობა პირველ რიგში უნდა მოეპოვებიათ მათვის რეალური თავისუფლების მინიჭებით. ლენინის განცხადებით, ქალებმა უნდა გააცნობიერონ პოლიტიკური კავშირი კომუნიზმსა და საკუთარ ტანჯვას, საჭიროებებსა და მისწრაფებებს შორის. ქალებს უნდა გაეაზრებინათ, თუ რას ნიშნავდა მათთვის პროლეტარიატის დიქტატურა: სრული თანასწორობა მამაკაცებთან კანონსა და პრაქტიკაში, ოჯახში, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში (Izvestia, November 20, 1918). იმის ნაცვლად, რომ რეფორმებით უზრუნველეყო ქალები, საბჭოთა კავშირის ლიდერს რეალურად სურდა ქალების გარდაქმნა ახალი წესრიგის მხურვალე დამცველებად. მშრომელ ქალთა პირველ ყრილობაზე, ლენინმა აღნიშნა: *„ამხანაგებო, არ შეიძლება განხორციელდეს სოციალისტური რევოლუცია, თუ მასში არ იქნებიან მშრომელი ქალები ჩართულნი და თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას. ყველა ცივილიზებულ*

ქვეყანაში, თუნდაც ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, ქალები სინამდვილეში შინაურ მონებს წარმოადგენენ. ქალები არ სარგებლობენ სრული თანასწორობით არცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, თუნდაც ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებში. საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ქალთა უფლებების ყველა შეზღუდვის გაუქმება" (Izvestia, November 20, 1918).

ლენინი მიიჩნევდა, რომ ქალთა სრული ემანსიპაცია განხორციელდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდებოდა გადასვლა მცირე ზომის ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლმეურნეობასა და მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე, რაც რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად, ლენინმა გადაწყვიტა პოლიტიკური ორგანიზება გაეწია მუშა და გლეხი ქალებისათვის, რადგან, როგორც თავად განმარტავდა: *"ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიიღებენ მასში მონაწილეობას ქალები. საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქალებმა შეძლონ დამოუკიდებელი პროლეტარული სოციალისტური მოღვაწეობა".* ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯს წარმოადგენდა ქალების „საოჯახო მონობისაგან", ყოველდღიური რუტინული საოჯახო საქმიანობიდან გათავისუფლება ფართომასშტაბიან სოციალიზებულ საშინაო მომსახურებაზე გადასვლის გზით.

ლენინის მიერ გატარებულმა გენდერულმა პოლიტიკამ და ბოლშევიკების მიერ 1918 წელს მიღებულმა სამოქალაქო კოდექსმა ქალებს სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების მთელი სპექტრი მიანიჭა და ერთი შეხედვით ახალი კანონმდებლობის წინაშე ქალი და კაცი უფლებრივად თანასწორი გახადა (Family Code, 1918). თუმცა ლენინის გარდაცვლების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ლიდერმა არსებული საბჭოთა კავშირის გენდერული პოლიტიკას ტრანსფორმაცია მოახდინა და რადიკალუ-

რად შეცვლა ახალი სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ორმაგ ტვირთს აკისრებდა ამჯერად ქალებს, ეს იყო ქალთა სავალდებულო შრომა ოჯახში და ოჯახს გარეთ.

საბჭოთა ხელისუფლებაში მოსული სტალინი მზად იყო განეხორციელებია ლენინის იდეები ქალთა როლის შესახებ კომუნისტურ საზოგადოებაში, მოუწოდებდა ქალებს დარაზმულიყვნენ და გაერთიანებულიყვნენ კომუნისტური პარტიის გარშემო. სტალინი აღნიშნავდა, რომ ქალები მთელი გულით უნდა უჭერდნენ მხარს პროლეტარულ რევოლუციას და რომ კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა ჩაგრულთა არც ერთი დიდი მოძრაობა, რომელშიც მშრომელ ქალებს არ მიეღოთ მონაწილეობა (Stalin J. V. March 8, 1925). ამავდროულად, სტალინის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქალის შრომისა და ფიზიკური ძალის გამოყენება კოლმეურნეობებსა და ქარხნებში. სტალინმა ქალთა საერთაშორისო დღეს სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ: *„მუშა და გლეხი ქალები - მუშათა კლასის უზარმაზარი რეზერვია, რომელიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენს და რომელიც განსაზღვრავს პროლეტარული მოძრაობის გედს, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ან დამარცხებას“. შესაბამისად, პროლეტარიატის და მისი მოწინავე რაზმის, კომუნისტური პარტიის უმთავრეს ამოცანას და გადამწყვეტ ბრძოლას წარმოადგენს პროლეტარიის დროშის ქვეშ ქალების, მუშა და გლეხი ქალების გათავისუფლება ბურჟუაზიის გავლენისგან“.* თუმცა სტალინის თავდაპირველმა თეორიულმა შეხედულებებმა, მოგვიანებით მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს (Stalin J. V. March 8, 1925).

ბოლშევიკების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ტოტალური გარდაქმნა და იდეალური სამყაროს შექმნა, სადაც ყველა ადამიანი თანასწორი იქნებოდა. თანასწორობის ეს ცნება ბუნებრივია მოიცავდა ქალებს, რომლებიც იმ დროისათვის მხოლოდ საშინაო შრომით შემოიფარგლებოდნენ. მათი აზრით ქალები უნდა გამხდა-

რიყვნენ უკვე სამუშაო ძალის შემადგენელი ნაწილი საკუთარი ოჯ-ახების მიღმა, შესაბამისად მათი როლი ოჯახშიც შეიცვებოდა ახალი საბჭოთა პოლიტიკური ხედვით. ბოლშევიკების აზრით, ქალები მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას და განთავისუფლდებოდნენ იმ ტრადიციული როლებისგან, რომლებსაც ისინი წარსულში ასრულებდნენ.

ბოლშევიზმის ფემინისტური ინტერპრეტაცია

თანასწორობა და თავისუფლება ფემინიზმის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კომპონენტია. კონკრეტულად, თანასწორობა გულისხმობს იგივე შესაძლებლობებს, რომლებიც იხსნება მამაკაცებისთვის, ხოლო თავისუფლება მინიჭებული გენდერული როლებისგან გათავისუფლებას და საკუთარი ცხოვრების წესის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას გულისხმობს.

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკის მაგალითები შეიძლება იყოს გარანტირებული თანაბარი ანაზღაურება, საყოველთაო და ხელმისაწვდმი განათლება და ა.შ. რაც შეეხება სტალინს, მან უბრალოდ უგულებელყო ამგვარი პოლიტიკის საჭიროება. მისი მმართველობის ადრეულ პერიოდში საბჭოთა ქალები სარგებლობდნენ ე.წ. „ჟენოტდელების“ (Женотдел) მომსახურეობით, რომლებიც იცავდნენ ქალებს დისკრიმინაციისაგან სამუშაო ადგილებზე. ეს იყო ქალთა განყოფილება, რომელიც შეიქმნა ქალთა თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად (Stites,1976). ამავდროულად, შესამჩნევი იყო უმაღლეს განათლების მქონე ქალთა რაოდენობრივი ზრდა, ვინაიდან განათლება სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა ქალებისთვის. 1935 წელს საბჭოთა ქალების 38% ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში, მაშინ როდესაც მათი რაოდენობა გერმანიაში 13,6%-ი, 1935 წელს ინგლისში 25,7% იყო (Racioppi & O'Sullivan, 1995).

თავისუფლება, თანასწორობასთან შედარებით, უფრო რთული ტერმინია მისი აბსტრაქტული ბუნების გამო. ერთი შეხედვით, სტალინი შეჰპირდა ქალებს ძველი ჩაგვრისა და ექსპლუატაციისგან გათავისუფლებას და მათ აბსოლუტური თავისუფლება შესთავაზა. ცხადია, სტალინი და მისი თანამოაზრეები არ უარყოფდნენ ქალთა ემანსიპაციის აუცილებლობას, თუმცა არ აღიარებდნენ იმ სირთულეებს, რომლებსაც ისინი ამ გზაზე აწყდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის საჯარო განცხადებები ქალთა საკითხის შესახებ ერთი შეხედვით პოზიტიურად და მიმზიდველად მოჩანდა, მისი ქმედებები მის „პრინციპებს“ შეესაბამებოდა თუ არა, ეს უკვე სადავო საკითხად რჩებოდა.

აშკარა იყო, რომ საბჭოთა ლიდერები და კერძოდ კი სტალინი მხარს უჭერდნენ ქალთა გაძლიერების და დაწინაურების პოლიტიკას, რომლის ერთადერთ რეალურ მიზანს ქალთა შრომითი ძალის გამოყენება წარმოადგენდა. მისი გეგმების შესასრულებლად, იგი არ ნიშნავდა ქალებს მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე. უფრო მეტიც, სტალინმა გააუქმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა სექცია, რომელიც ლენიმა ჩამოაყალიბა 1918 წელს (Racioppi & O'Sullivan, 1995, გვ. 21). ამრიგად, სქესთა თანასწორობა საბჭოთა კავშირში ნიშნავდა იმას, რომ მომხდარიყო მათი ჩართვა მძიმე სამუშაოებში, ნახშირის მოპოვებისა და სამსხმელო სამუშაოებიდან დაწყებული, დამთავრებული ქუჩებისა და თხრილების წმენდით. სტალინის მმართველობის პირობებში, ქალთა მდგომარეობა არ წარმართულა ზუსტად ისე, როგორც ეს იყო გაწერილი ბოლშევიკურ განცხადებებსა და ბროშურებში. მათ მიერ მიღებული ახალი კანონების მიუხედავად, ქალებს თანაბრად მაინც არ ეპყრობოდნენ. „ახალი ქალის“ შექმნის მცდელობამ შეცვალა ქალთა ქცევაც, თუმცა ისინი სულაც არ გამხდარან მამრობითი კოლეგების თანასწორუფლებიანი. ქალები რეალურად არ განთავისუფლებულან საკუთარი ოჯახური როლებისაგან, სინამდვილეში ისინი უფრო მეტად დავა-

ლებულნი აღმოჩნდნენ და დამატებითი ფუნქციების შესრულება დაეკისრათ როგორც ოჯახში, ასევე ოჯახის გარეთ. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა იდგა ამ ყველაფრის უკან და რა იყო რეალური მიზეზი ქალთა როლის ტრანსფორმაციისა და „ახალი ტიპის“ ქალის შექმნის საჭიროებისა საბჭოთა კავშირის ლიდერის მიერ.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირს უდიდეს ადამიანურ მსხვერპლად დაუჯდა, შრომისუნარიანი და ახალგაზრდა მამაკაცების მთელი თაობა განადგურდა, რამაც მნიშვნელოვანი დისბალანსი გამოიწვია მამრობითი და მდედრობითი სქესის პოპულაციებს შორის. დაწყებულმა მძლავრმა ინდუსტრიალიზაციის პროცესმა აშკარა გახადა მუშახელის დეფიციტი. საბჭოთა მთავრობამ სხვადასხვა სახის ნაბიჯები გადადგა ეკონომიკაში ქალების სრული მონაწილეობის მისაღებად: სტალინის პირველმა ხუთწლიანმა გეგმებმა გაზარდა ქალთა რაოდენობა მძიმე ინდუსტრიაში. მოგვიანებით, საბჭოთა კანონმდებლობამ ქალებს თანაბარი უფლებები და თანაბარი ანაზღაურების უფლება მიანიჭა (1936 წლის სსრკ კონსტიტუცია, 122 მუხლი). ქალები მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებშიც, ფრონტზე, საწარმოებსა თუ სოფლის მეურნეობაში, ქალებს ასევე დაევალთ აქტიური როლის შესრულება ომის შემდგომ საბჭოთა ეკონომიკის აღდგენის პროცესში. 1943 წელს ქალები შეადგენდნენ არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის 57%-ს, ხოლო 1945 წელს კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაო ძალის 80%-ზე მეტს (Buckley, 1981). მაგრამ საბოლოოდ სწორედ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომს მოჰყვა ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები რუსეთის ეკონომიკისათვის: საბჭოთა კავშირმა მოახდინა მთელი თავისი ძალების მობილიზება გამარჯვების უზრუნველსაყოფად, ქალები კი იძულებულნი გახდნენ მძიმე ფიზიკური შრომა გაეწიათ, რათა ჩაენაცვლებიათ მამაკაცები.

როდესაც მეორე მსოფლიო ომმა კაცების, როგორც სამუშაო ძალის მძიმე დანაკარგი მოიტანა, მარქსისტული სქესთა თანასწო-

რობის დოქტრინა არაჩვეულებრივად ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდა საბჭოთა პოლიტიკოსებისათვის. სახელმწიფომ დაავალა ქალებს ემუშავათ რკინისა და ფოლადის მრეწველობაში, სადაც ისინი შეადგენდნენ დასაქმებულთა 40%-ს 1944 წლისთვის, რაც 15%-ით გაიზარდა 1939 წლიდან. ნავთობის საბადოებში ქალები შეადგენდნენ სამუშაო ძალის 30-40%-ს და როგორც იმ დროინდელი გაზეთი „პრავდა“ სიამაყით იტყობინება (Pravda, 1944 წ. 7 სექტემბერი და 6 დეკემბერი), ზოგიერთ მაღაროში ქალები შეადგენდნენ მაღაროელთა უმრავლესობას. ქალები გახდნენ შემდუღებლები, სამშენებლო მუშები, მტვირთავები და ქუჩის დამლაგებლები (Norton T. Dodge, 1966). ქალების მიერ განხორციელებული შრომითი საქმიანობის გარეშე საბჭოთა ეკონომიკა სიცოცხლისუნარიანი ვერ აღმოჩნდებოდა. ომის მძიმე დანაკარგზე მოწმობდა ის ფაქტი, რომ 1959 წლისთვის ქალთა რაოდენობა 20 მილიონით მეტი იყო მამაკაცებთან შედარებით. ქალები, რომლებიც წარმოადგენენ სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევარს, დიდ როლს თამაშობდნენ ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში. მაგალითად 1954 წლისთვის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სფეროში დასაქმებულთა ნახევარს სწორედ ქალები წარმოადგენდნენ. ქალები შეადგენდნენ მემანქანეების 64%-ს, კოშკურის ოპერატორების 70%-ს და ლოკომოტივისა და ძრავის მძღოლთა 42%-ს (Schuster. A, 1967).

ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში ქალების უმეტესობა კვლავ ჩართული იყო გარდამტეხ ფიზიკურ შრომაში. ქალები (მათი უმეტესობა არაკვალიფიციური) კვლავაც დომინირებდნენ კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობის სექტორებში, განსაკუთრებით ნაკლებად მიმზიდველ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. მაგალითად, 1947-1959 წლებში ქალები წარმოადგენდენ მეფრინველეობის ფერმებში დასაქმებული მუშაკების, მწყემსებისა და რძის პროდუქტების გადამუშავებულ ქარხანაში დასაქმებულთა 90%-ზე მეტს, მაშინ როდესაც ქალების მხოლოდ 20%-ი იყო დაკავებული ადმინისტრა-

ციულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალები შეადგენდნენ მეტროს, ტრამვაის და ტროლეიბუსების მძღოლების 57%-ს (Dodge, pp. 174, 177).

ქალები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ განათლების სისტემაში. ისინი წარმოადგენდნენ დაწყებით და საშუალო სკოლების მასწავლებელთა ძირითად ნაწილს, მაგრამ უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე ქალების წილი გაცილებით მცირე იყო. 1956 წლის ბოლოს სწავლებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის (კათედრის ხელმძღვანელები, პროფესორები და ასისტენტები) ქალთა წილი 41%-ი იყო, ხოლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, დეკანებსა და სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ადმინისტრაციულ რგოლში, ქალთა მაჩვენებელი მხოლოდ 15%-ს წარმოადგენდა. ზოგადად, უმაღლეს აკადემიურ თანამდებობებზე ქალების პროპორციის სიმცირე ძალიან მკვეთრი და შესამჩნევი იყო (Schuster , 1971, pp 264).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საქმიანობა და პროფესია ერთი შეხედვით ღია იყო ქალებისათვის, მათი შესაძლებლობები და პერსპექტივები კარიერული წინსვლისათვის არ იყო ხელსაყრელი. საბჭოთა პედაგოგები აცხადებენ, რომ ქალები ისეთივე ცოდნითა და უნარებით სარგებლობდნენ, როგორც კაცები თითქმის ყველა დისციპლინაში, მათ შორის მეცნიერებასა და მექანიკაში. თუმცა ქალი სპეციალისტები ყველა დარგში ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ ქვედა და საშუალო რგოლში. ამ ფაქტის ყველაზე თვალსაჩინო ლუსტრაცია გაცილებით მკაფიო იყო მაღალ პარტიულ თანამდებობებზე ქალების მცირე წარმომადგენლობით.

თეორიული დებატებიდან რეალობამდე და დედების ახალი იმიჯის შექმნა

საბჭოთა კავშირში ქალებს ორმაგი ამოცანები დაუსახეს. მათ უნდა ეშრომათ ისევე, როგორც კაცებს დაწესებულებებში, ქარხნებ-

ში და მინდვრებში, ხოლო სახლში დაბრუნების შემდეგ კი უწევ-დათ დღეში რამდენიმე საათის გატარება სასურსათო მაღაზიების გაუთავებელ რიგებში პროდუქტების შესაძენად. ქალებს უწევდათ საჭმელის მომზადება და დასუფთავება, რადგან საბჭოთა კაცები (მამაკაცურობის შესანარჩუნებლად) უარს ამბობენ საოჯახო საქმის გადანაწილებაზე (Caimiao, 2019). ახალ საბჭოურ კულტურაში ქალე-ბის პატივისცემა და კონსტიტუციით დაპირებული თანასწორობა იშლებოდა, თუმცა საბჭოთა კავშირის ყოველდღიური ცხოვრება სრულიად არ შეესაბამებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას.

აშკარაა, რომ ბოლშევიკ ლიდერებს თავდაპირველად განსხვა-ვებული იდეები ჰქონდათ დასახული. ლენინმა 1919 წლის 23 სექ-ტემბერს არაპარტიული მშრომელი ქალების მოსკოვის მეოთხე სა-ქალაქო კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა: *„თქვენ ყველამ იცით, რომ მაშინაც კი, როდესაც ქალებს აქვთ სრული უფლებები, ისინი ფაქტობრივად მაინც რჩებიან ჩაგრულ მდგომარეობაში, რად-გან ყველა საშინაო საქმის შესრულება მათზეა დამოკიდებული. უმ-ეტეს შემთხვევაში, საშინაო საქმეები ყველაზე არაპროდუქტიული, ყველაზე გარბაროსული და ყველაზე მძიმე სამუშაოა, რომლის შეს-რულება ქალებს უწევთ“* (Pravda, no. 213). ასეც რომ იყოს, ქალები ლენინის გარდაცვლებამდე, ასევე მის შემდეგაც, როგორც უწინ, კვლავაც რჩებოდნენ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. მარ-თლაც, გარკვეული გაგებით, ბევრი ქალის მდგომარეობა ალბათ გა-უარესდა კიდეც, რადგან ქალების უმეტესობას უნდა შეესრულებია სავალდებულო ორმაგი ცვლა, ერთი სახელმწიფოსთვის, მეორე კი სახლში ქმრისა და ოჯახისათვის.

1930-იანი წლები საბჭოთა კავშირში აღინიშნებოდა ინდუს-ტრიალიზაციის ძლიერი ტალღით. 1930 წელს პარტიამ წამოიწყო დიდი კამპანია, რათა წაეხალისებით ქალები მასობრივად შეერთე-ბოდნენ სამუშაო ძალას: ოთხჯერ მეტი ქალი წავიდა სამუშაოდ ინ-დუსტრიაში, ვიდრე 1929 წელს. 1929-1935 წლებში თითქმის ოთხ

მილიონ ქალს ეკავა ანაზღაურებადი სამუშაო, მათგან 1,7 მილიონი ინდუსტრიაში. 1935 წლისთვის ქალები წარმოადგენდნენ ინდუსტრიის სამუშაო ძალის 42%-ს. შესაბამისმა მგეგმავებმა ბიუროკრატიულად მოახდინეს სქესთა შორის სამუშაოს დაყოფა საქმიანობის სხვადასხვა დარგებში, წინასწარ დადგენილი ნორმების შესაბამისად. შეიქმნა გარკვეული პროფესიები, სამუშაოები, მთელი რიგი ეკონომიკური სექტორები გახდა ის სფერო, რომლებშიც ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებულნი (Goldman, 2002).

1920-იან წლებში კომუნისტი აქტივისტები, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, მხარს უჭერდნენ სქესთა შორის თანასწორობას საჯარო და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. ანაზღაურების მქონე მუშაკების სტატუსის მოპოვებით, ქალები მიიღებდნენ ნამდვილ ეკონომიკურ ავტონომიას ქმართან და ოჯახთან მიმართებაში. სქესთა შორის ურთიერთობა შეწყვეტდა დაქვემდებარებული ურთიერთობის სახეს და გადაიქცეოდა სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობად. საქორწინო კონტრაქტი კი, რომელმაც ფაქტობრივად დააკანონა ეკონომიკური უთანასწორობის მდგომარეობა, სრულიად არასაჭირო აღმოჩნდებოდა. კაცები და ქალები ერთად იცხოვრებდნენ „თავისუფალ კავშირში“ და შეძლებდნენ განშორებას, როცა კი მას მოისურვებდნენ. აღარ ექნებოდათ არც მოვალეობები და არც ეკონომიკური ფუნქციები, ოჯახი საბოლოოდ „გაქრებოდა“. მარქსისტული მწერლობის ტრადიციაში, ბოლშევიკებმა შეიმუშავეს რიგი კონცეფციების ერთობლიობა ქალთა ემანსიპაციის შესახებ. შესაბამისად, სოციალიზმის პირობებში ახალი ცხოვრება გარდაქმნიდა სქესთა შორის ურთიერთობებს, კერძოდ, ქალები შეძლებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობას მამაკაცებთან ერთად თანაბარ პირობებში (Kollontai, A. 1920).

შესაბამისად, ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ოჯახური საქმეების კერძო სფეროდან საზოგა-

დოებრივ სფეროში გადმოტანა და ამ გზით ქალების „გათავისუფ-ლება“ საოჯახო შრომისაგან. ამ მიზნის გათვალისწინებით, აუცილ-ებელი იყო უწინარეს ყოვლისა მათი გათავისუფლება საშინაო საქ-მეებისაგან ამ უკანასკნელის საჯარო სფეროში გადატანით. კოლექ-ტიური სამრეცხაოები, საბავშვო ბაღები და სასადილოები, რომლე-ბიც ანაზღაურებად ქალებს ასაქმებენ, იზრუნებენ იმ დავალებების შესრულებაზე, რომლებსაც უწინ თავად ქალები ოჯახში ყოველგვა-რი ანაზღაურების გარეშე ასრულებდნენ. აი რას წერდა ალექსანდრა კოლონტაი ქალთა საკითხის შესახებ, მარქსისტი თეორეტიკოსი, რევოლუციონერი, მოგვიანებით დიპლომატი, რომელიც სათავეში ედგა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და აქ-ტიურად ახორციელებდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას მუ-შათა კლასის ქალებთან მიმართებაში: *“საბჭოთა მუშა ქალი იმავე სიმშვიდით, სინათლით, ჰიგიენითა და სილამაზით უნდა იყოს გარშემორტყმული, რომლებზეც აქამდე ხელი მხოლოდ მდიდრებს მიუწვდებოდათ. იმის ნაცვლად, რომ მუშა ქალები საჭმლის მომზა-დებით იტანჯებოდნენ და უკანასკნელ თავისუფალ საათებს სამზა-რეულოში ატარებდნენ სადილისა და ვახშმის მზადებაში, კომუნის-ტური საზოგადოება ამიერიდან მათთვის სახალხო რესტორნებსა და საერთო სასადილოებს დააფუძნებს“* (Kollontai, A. 1920).

1918 წლის სამოქალაქო კოდექსმა გააუქმა რელიგიური ქორ-წინება და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება იქნა იურიდიულად აღიარებული. უკანონო შვილებს მიენიჭათ იგივე უფლებები, რაც ლეგიტიმურ შვილებს ოჯახში (Civil Code, 1918). განქორწინება, რო-მელიც წარმოუდგენელი იყო მეფის რუსეთის დროს, ადვილი მიღ-წევადი აღმოჩნდა ორი მეუღლის მარტივი რეგისტრირებული გან-ცხადების საფუძველზე. თუმცა, აღმოჩნდა რომ მენტალიტეტი ისე სწრაფად ვერ განვითარდა და შეიცვალა, როგორც საკანონმდებლო ჩანაწერები. მართლაც, 1920-იანი წლების რადიკალიზმი ოჯახთან და სქესთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით, ხშირად გაზ-

ვიადებულ ხასიათს ატარებდა. ლენინი და პარტიის სხვა ლიდერები ოჯახს უპირველეს ყოვლისა ძირითად ეკონომიკურ ერთეულად მიიჩნევდნენ. საბჭოთა იურისტები თავის მხრივ, თვლიდნენ, რომ იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა შესაბამისი რესურსი საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ოჯახს უნდა გაეგრძელებია მნიშვნელოვანი როლის შეასრულება აღნიშნულ სფეროში. გარდა ამისა, 1920-იანი წლების ბოლოს შეინიშნებოდა დამოკიდებულების ცვლილება მოსახლეობაში და თვით კომუნისტ აქტივისტებშიც კი. ერთგვარი დაღლილობა გამოიხატა მოსახლეობაში სხვადასხვა სოციალური ექსპერიმენტების ფონზე, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ოჯახზე და ცალკეულ პირთა პირად ცხოვრებაზე. ოჯახის დაშლის სხვადასხვა ფორმა მოსახლეობის მზარდი ნაწილის მიერ აღიქმებოდა სოციალურ ბოროტებად და მორალურ ქაოსად. ქალების მზარდი რაოდენობა გაზეთებში მოითხოვდა ქორწინების დაცვის კანონების გაძლიერებას.

საზოგადოებრივი დებატები პროფკავშირებში და სამუშაო ადგილებზე ქალთა დისკრიმინაციის შესახებ გაქრა 1933 წლის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, 1934 წლის შემდეგ უკვე აღარ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა სამუშაო ადგილებზე ქალთა პრობლემების შესწავლით. სწორედ იმავე წელს დაიშალა მშრომელი ქალების საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების კომიტეტიც (Mespoulet M, 2006 გვ.4-5). 1930-იანი წლები გარდამტეხი აღმოჩნდა საოჯახო პოლიტიკის მიმართულებითაც. შობადობის შემცირებისა და მოსახლეობის ნელი ზრდის შედეგად საბჭოთა სახელმწიფომ შემოიღო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა შობადობის წახალისებას. პოლიტიკური ლიდერებისა და იურისტების მიერ გამოყენებულ ენაში გამოჩნდა ახალი კონცეფცია „ძლიერი სოციალისტური ოჯახი“, წარმოდგენილი, როგორც ძირითადი უჯრედი, რომელიც აუცილებელი იყო სოციალ-

იზმის მშენებლობისთვის და ხასიათდება სტაბილური ქორწინებით, ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლით და მშობლის უფლებამოსილების გაძლიერებით. „ახალი საბჭოთა ქალის“ ექვივალენტური ტერმინი მდგომარეობდა იმაში, რომ ქალებს ჩამოერთვათ საკუთარი სხეულის კონტროლის უფლება რაც ახსნილი იქნა დედობის როლით. სტალინმა სასტიკად დაარღვია ფემინიზმის თავისუფლების პრინციპი 1936 წელს, როდესაც ქალებს აბორტის უფლება ჩამოართვა (Mespoulet M, 2006), განქორწინება კი გართულდა და გაძვირდა. საბჭოთა ქალი ეს იყო „დედა და მოქალაქე“, რომელსაც ეკისრება მოქალაქეების დაბადება და აღზრდის დიდი პასუხისმგებლობა, ქალებს კი ბევრი შვილის გაჩენისკენ მოუწოდებდნენ, მაშინ როდესაც ქალი ისევ სამსახურში დადიოდა. სხვადასხვა ღონისძიებები მიმართული იყო დედების დასახმარებლად, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ალიმენტის შესახებ კანონში უფრო მკაცრი პოზიციის დაცვა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეღავათების გაზრდა. ოჯახის გაძლიერება განიმარტებოდა, როგორც ნორმალურობისკენ გადადგმული ნაბიჯი პოსტრევოლუციურ წლებში გარდაუვალი არეულობის შემდეგ.

სტალინმა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქალებს ფუნდამენტური უფლება ჩამოართვა, არ შეუწყვეტია პროპაგანდის მასიური გამოყენება ქალის სასურველი პორტრეტის შესაქმნელად და გასავრცელებლად. მან შეიმუშავა შესაბამისი პოლიტიკა მრავალშვილიანობის სტიმულირებისათვის და 1944 წელს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა საპატიო წოდება და ორდენი „გმირი-დედა“ (Мать-героиня). „გმირი დედის“ წოდებას ანიჭებდნენ მხოლოდ იმ ქალებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 10 შვილი (www.identifymedals.com). საბჭოთა ეპოქის სოციოლოგები ქალის სტატუსის ანალიზისას, 1930-იან წლებს მიიჩნევენ როგორც პერიოდს, როდესაც გაფორმდა „სქესთა შორის ძირითადი კონტრაქტი საბჭოთა საზოგადოებაში“. კონტრაქტი, რომელიც ქალს მიიჩნევდა,

როგორც „მუშა დედას“, რომელსაც ერთდროულად უნდა შეესრულებინა რთული სამუშაო დღე, სამშობლოსათვის შვილების აღზარდა და ამავდროულად ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაში აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული. იმის გათვალისწინებით, რომ საბინაო პირობები და საქონლით უზრუნველყოფა არ უმჯობესდებოდა, შობადობის ზრდა, ამავე დროს, ნიშნავდა ქალების ყოველდღიური ცხოვრების სირთულეების ზრდას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქალები და ექიმები არღვევდნენ კანონს, აბორტების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდებოდა (Mespoulet, 2006 pp 5-6).

1930-იანი წლების პროპაგანდამ ოჯახის სასარგებლოდ, ხელი შეუწყო ქალების, როგორც სოციალიზმის მშენებელთა იმიჯის ჩამოყალიბებას. საბჭოთა ლიდერები ქალებს ადიდებდნენ საჯარო გამოსვლებში, პრესაში თავგანწირვის გრძნობისა და წინააღმდეგობის უნარის გამო. ოფიციალურ გამოსვლებში ისინი წარმოდგენილები იყვნენ ოჯახის საყრდენებად. მუშათა და სოფლის ოჯახების ქალები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებოდნენ ყოველდღიურობის პრობლემებთან გამკლავებაში. ამ სირთულეების გადაჭრაში დახარჯულმა დრომ მათ ხელი შეუშალა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სოციალური ორგანიზაციებისა თუ პარტიულ საქმიანობაში. ამრიგად, კომკავშირში ქალების პროცენტული მაჩვენებელი 34% (1935 წელს) ორჯერ მეტი იყო, პარტიაში ქალების რაოდენობასთან შედარებით, რადგან კომკავშირელები ძირითადად ახალგაზრდა და ოჯახის მიღმა მყოფ ქალებს წარმოადგენდნენ (Buckley, 1981).

ქალები პოლიტიკაში

საბჭოთა კავშირის ლიდერთა საჯარო გამოსვლებსა და წერილებში იკვეთება ქალთა ობიექტივიზაცია, ანუ მათი როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი არსებების განვითარებისათვის ზრუნვა, რომლებსაც თავად არ გააჩნდათ განვითარების პოტენცია-

ლი. 1913 წლის აღწერის მიხედვით, რომელიც გაკეთდა ოქტომბრის რევოლუციამდე, ქალების 83%-მა რუსეთში წერა-კითხვაც კი არ იცოდა. დარჩენილი ქალებიდან თითქმის ყველა მათგანი მაღალი ფენის ქალებს წარმოადგენდა და სავარაუდოა, რომ მათი უმეტესობა რევოლუციისას იქნა გადასახლებული. შესაბამისად წიგნიერი ქალების წილი რევოლუციის შემდეგ დაახლოებით 5%-მდე დაეცა (George St,1987, p.23). ბუნებრივია იქმნებოდა ერთგვარი შთაბეჭდილება, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას სურდა სქესთა თანასწორობის იდეის შემოტანა და მისი გამტკიცება, რომლის რეალური მიზანი იყო ის, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი ჩართულიყო ოჯახს გარეთ სავალდებულო შრომაში, ანუ მომხდარიყო ქალთა შრომისა და ენერგიის გამოყენება და შესაბამისად, ხელისუფლებას არ ჰქონდათ მოლოდინი, რომ ქალები დიდ ცვლილებას შემოიტანდნენ აზროვნებასა და პოლიტიკურ პროცესებში.

საბჭოთა კავშირში უმნიშვნელოვანესი იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში შესრულებული როლი, ვინაიდან იგი წარმოადგენდა პოლიტიკური ძალაუფლების რეალურ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის წევრების დაახლოებით 20%-ი იყო ქალი, პარტიის უმაღლესი პოზიციები თითქმის ექსკლუზიურად კვლავაც მამაკაცების კონტროლის ქვეშ რჩებოდა (Dodge, pp. 213). ეს მოცემულობა განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. ცხადია, მამაკაცის უპირატესობის ძველი დამოკიდებულება შენარჩუნებული იქნა, რადგან მამაკაცები უფრო მეტ წვრთნას და მომზადებას გადიოდნენ და უკეთეს პოზიციებს იკავებდნენ. აღნიშნული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამართლების მცდელობა „ახსნილი იყო“ იმ ფაქტით, რომ ქალები მთელ ენერგიას ბოლომდე არ უთმობდნენ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას და ძირითადად ოჯახზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი, რაც განაპირობებდა კიდეც იმ შედეგს, რომ ისინი ძირითადად საშუალო და დაბალ რგოლებზე იყვნენ რეკრუტირებულნი.

იმ დროისა და ძალისხმევის გამო, რომელსაც ისინი ხარჯავენ სამსახურში და სახლში, საბჭოთა ქალების უმეტესობა დიდი ხნის განმავლობაში მონაწილეობდა და ითავსებდა ეკონომიკურ და სოციალურ როლებს, ვიდრე პოლიტიკურ როლებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნებში ქალები ნაკლებად აქტიურები იყვნენ პოლიტიკურად, ვიდრე მამაკაცები, სსრკ-ში ამის საფუძვლიან არგუმენტად მიიჩნეოდა ის ფაქტი, რომ ქალთა უფრო მაღალი პროცენტი მუშაობდა სრული განაკვეთით, ხშირად ფიზიკურად რთულ სამუშაოზე და, როგორც წესი, ქმრები არ უჭერდნენ მხარს საშინაო საქმესა და შვილების აღზრდაში. ამრიგად, მრავალ ქალს უბრალოდ არ ჰქონდა თავისუფალი დრო, მათი სოციალური როლიდან გამომდინარე, პოლიტიკური შეხვედრებისათვის, რადგან პარტიული შეხვედრები და თათბირები უზომოდ დიდ დროს მოითხოვდა. ეს მაშინ როდესაც, ბევრი საბჭოთა მამაკაცი „ორმაგი ტვირთის“ გარეშე, იმ დროინდელ პრესაში ერთგვარად „ჩიოდა“, რომ პოლიტიკა მათგან ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. ოჯახური მოვალეობებით დატვირთულ ახალგაზრდა ქალებს ნაკლებად რჩებოდათ დრო და ენერგია პოლიტიკური აქტივობისთვის, მაშინ როდესაც მამაკაცი ბოლშევიკები მოითხოვნდენ, რომ მუშა ქალებს მხარი დაეჭირათ საბჭოთა რეჟიმისათვის. ხშირად „ჟენოტდელი“ ჯგუფების აქტივისტები ჩიოდნენ და წუხდნენ, რომ ბოლშევიკური პროპაგანდა გაზეთებში არაეფექტური და არასახარბიელო იყო. „პრავდას“ გვერდი საშინელებაა. ჩვენთვის, ქალების გვერდებზე ფაქტიურად არაფერი წერია, მხოლოდ არსებობს სააგიტაციო სახის პატარ-პატარა სტატიები, რომლებიც სამი წლის წინ თუ გამოადგებოდა ქარხნებს“ (Hutton, 2015, გვ.39).

ქალები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივ და რეგიონალურ საქმიანობაში. მოცემულობა, თუ რატომ იყვნენ ქალები პოლიტიკურად აქტიურნი სახლთან ასე ახლოს, ახსნილი შეიძლება ყოფილიყო იმ ფაქტით, რომ ეკონომიკურ, ოჯახურ და პო-

ლიტიკურ როლებს შორის კონფლიქტი ყველაზე ნაკლებად სწორედ აღნიშნულ სივრცეში ხდებოდა, რადგან ეს სივრცე ქალებისათვის გარკვეული პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობას იძლეოდა. მაგალითად, ქალები შეადგენენ სოფლის, ქალაქის, რაიონული და რეგიონალური საბჭოების დეპუტატთა 49%-ს, მათი წარმომადგენლობა საკავშირო რესპუბლიკის დონეზე 35%-მდე იკლებდა და უზენაეს საბჭოში მხოლოდ 32%-ს შეადგენდა (Buckley, M, 1981, pp 88).

საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ქალები შეადგენენ პარტიის პირველადი ორგანიზაციის პირველი მდივნების ერთ მესამედს, ქალები წარმოადგენენ ურბანული და რაიონული პარტიის მდივნების 4%-ს. ამ დონეზე ზემოთ, ქალები ფაქტობრივად აღარ გვევლინებოდნენ პარტიულ ელიტაში (Buckley, M, 1981, pp 88-89). მიუხედავად იმისა, რომ ქალთა წილი კომუნისტურ პარტიაში წლების განმავლობაში რაოდენობრივად იზრდებოდა, ქალები კვლავ ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი პარტიაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. იმ ქალთაგან, რომლებიც შედიოდნენ პარტიულ და სამთავრობო ელიტებში, მათი კარიერა, როგორც წესი, განსხვავდებოდა მათი მამრობითი სქესის კოლეგების კარიერისაგან. რეგიონალურ ელიტაში, მამაკაცების შერჩევა და დანიშვნა ხდებოდა რეგიონის გარედან, მოგვიანებით ისინი უკვე წარმატებით პოზიციონირებდნენ იმავე ბიუროში არსებულ სხვადასხვა თანამდებობებზე. ხოლო ქალები, როგორც წესი, წარმოადგენენ ადგილობრივ მკვიდრებს და არ ხდებოდა მათი გადანაცვლება ქვემოდან ზემოთ, შესაბამისად არ ხდებოდა მათი პროფესიული ზრდა და დაწინაურება წამყვან პოზიციებზე. უფრო მეტიც, ხშირად ქალების დანიშვნა მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა (Buckley, 1981, გვ 97).

თუმცა, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა პრესაში ქალების მუშაობისა და ცხოვრების პირობების მიმართ მზარდი შეშფოთების პარალელურად, გამოცოცხლდა ქალებთან

ურთიერთობის ინსტიტუციური მექანიზმები. საბჭოთა ხელმძღვანელობას ყოველთვის არ სურდა სპეციალური ქალთა ინსტიტუტების შექმნა, თავდაპირველად იმ მოტივით, რომ მათ შესაძლოა „ბურჟუაზიული ფემინიზმის“ სუნი სცემოდათ, რომ ისინი შესაძლოა გამხდარიყვნენ დამოუკიდებლები პარტიისგან და ამით ხელს შეუწყობდნენ მუშათა კლასის დაყოფას. ლენინი ამტკიცებდა, რომ: *”ჩვენ ვიღებთ ჩვენს ორგანიზაციულ იდეებს ჩვენი იდეოლოგიური კონცეფციებიდან. ჩვენ არ გვინდა კომუნისტი ქალების ცალკეული ორგანიზაციები. ის, ვინც კომუნისტია, ყველა ეკუთვნის პარტიას“* (Lenin, 1977).

ქალთა ემანსიპაციის კულტურული პროექტის მთელი სირთულე და წინააღმდეგობრიობა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობით და განსაკუთრებით კი ე.წ. ქალთა განყოფილებების ე.წ “Женотдел“ საქმიანობის პროცესში გამოვლინდა. “ჟენოტდელი“ - ეს იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპარტამენტი, რომელიც აღმოჩნდა ქალთა პოლიტიკური აქტივობის ერთადერთი მექანიზმი, რომელიც 1919-იანი წლებიდან 1930-იანი წლების დასაწყისამდე არსებობდა და რომლის მიზანს წარმოადგენდა ქალთა პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ სფეროში მათ ჩართულობის გააქტიურება. იგეგმებოდა ქალ დელეგატთა აქტიური მონაწილეობა შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში (Hutton, 2015, გვ.35-36). „ჟენოტდელის“, კომუნისტური პარტიის ქალთა განყოფილების კრიტიკული არსებობის მიზანი იყო მუშათა კლასის ქალთა შემოკრება, აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც მოგვიანებით მნიშვნელოვნად დაზარალდა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებული შეტევის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა განყოფილებები არ იყო დამოუკიდებელი პარტიისაგან იგი მალევე გაუქმდა. „ჟენოტდელის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ქალმა ალექსანდრა კოლონტაიმ განაცხადა:

„აქ, მოსკოვში არის დიდი ქარხნების დელეგატ ქალთა ყოველკვირეული შეხვედრები, რომელიც კვირაში ერთხელ იმართება. მაგრამ ქალებს მოუწოდებენ, მივიდნენ ყველა პოლიტიკურ შეხვედრაზე და იმუშაონ მამაკაცებთან ერთად და თანაბარ პირობებში“ (Hutton, M. 2015, გვ. 36). ქალთა განყოფილების გაუქმებას საფუძვლად დაედო ის მოსაზრება, რომ უკვე დროა ქალი დაწინაურდეს არა როგორც ქალი, არამედ უკვე როგორც მუშაკი, როგორც საზოგადოების განვითარებული და სრულუფლებიანი წევრი. „ჟენოტდელი“ არ იყო ხელისუფლების ერთადერთი „მსხვერპლი“, რადგან ამ დროისათვის არაერთმა ქალთა ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა. ერთადერთი ქალთა ორგანიზაცია რომელიც არ დაიშალა და გადარჩა გახლდათ „საბჭოთა ქალთა კომიტეტი“ (სტალინის ანტიფაშიზმის კომიტეტის მემკვიდრე), რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო საზღვარგარეთ ფაშისტებთან ბრძოლაზე. სტალინმა საკუთარი გადაწყვეტილება გაამართლა იმ მოტივით, რომ „ქალთა საკითხი“ უკვე მოგვარებული და გადაჭრილი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადგილი აღარ ჰქონდა ქალთა დისკრიმინაციას და შესაბამისად, ქალთა განყოფილებების ფუნქციონირების საჭიროებაც აღარ იდგა. თუმცა, სტალინის მიერ „ქალთა განყოფილებების“ გაუქმების შემდეგ, 1969 წელს, ამჯერად უკვე პროფკავშირების ქოლგის ქვეშ შეიქმნა „ქალთა სპეციალური კომისია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე“. ანალოგიურად ჩამოყალიბდა ე.წ. “ქალთა საბჭოები“ ქარხნებში და ფერმებში, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაციები არ წარმოადგენდნენ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, ისინი იმ დროისათვის სთავაზობდნენ გარკვეულ შეზღუდულ ინსტიტუციურ არხებს ქალებს, რომლითაც შეიძლებოდა ქალთა პრობლემების განხილვა და მათი ინტერესების წინ წამოწევა.

შესაბამისად, სტალინის მმართველობის დროს ჩამოყალიბდა და შეიქმნა ქალის კულტურული ხატი, ე.წ. "ახალი საბჭოთა ქალი" გაჩნდა "ახალ საბჭოთა კაცთან" ერთად. ახალი საბჭოთა ქალის“ კონცეფცია შეიცავდა ორ ძირითად ელემენტს: პროდუქტიულობას და რეპროდუქციულობას. პროდუქტიულობა კონკრეტულად ეხებოდა სამრეწველო პროდუქტიულობას, მათ შორის საწარმოო ინდუსტრიების ეფექტურობას, მძიმე ლითონის წარმოებას და, რაც მთავარია, სამხედრო იარაღის შეკრებას. სტალინი მიიჩნევდა, რომ „ახალ საბჭოთა ქალს“ უნდა ეკისრა დედის მოვალეობა და გამოევლინა დედობის ღირსება მრავალი შვილის აღზრდით. სტალინმა წარმატებით გამოიყენა „საბჭოთა ქალის“ ცნება, როგორც ინსტრუმენტი, საკუთარი ამბიციური ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. მან ძალიან კარგად იცოდა, რამდენად სასიცოცხლოდ საჭირო და მნიშვნელოვანი იყო ინდუსტრიალიზაცია და უფრო მაღალი შობადობა, როდესაც ქვეყანა ომი ზღვარზე იმყოფებოდა (Harrison, 2008). დაპირებული და ნანატრი თავისუფლების ნაცვლად, სახელმწიფო კომუნიზმი ქალებისათვის გადაიქცა ერთგვარ მჩაგვრელ სისტემად, რომელმაც მწარმოებლისა და რეპროდუქციული როლები დააკისრა ქალებს, ეს იყო ორმაგი, ეკონომიკური და საოჯახო შრომის მძიმე და სავალდებულო ტვირთი. ქალთა როლის განდიდება და ძლიერი პროლეტარი ქალების მრავალრიცხოვან პოსტერებზე გამოსახვა, რაც ხელისუფლების პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენდა, სამწუხაროდ არ ასახავდა ქალთა რეალურ ყოფას საბჭოთა კავშირში.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალთა საკითხის წინ წამოწევა და მისი სტატუსის მნიშვნელოვანი ცვლილება მჭიდროდ უკავშირდებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს. ხელისუფლებაში მოსულმა სტალინმა რადიკალურად შეცვალა ადრეული ბოლშევიკური სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკური კურსი, რადგან მას

სჭირდებოდა ახალი ტიპის ქალი, რომელიც იქნებოდა პირველ რიგში, სანიმუშო დედა, თუმცა, ამავე დროს მზად იქნებოდა როგორც ომისათვის, ისე სახელმწიფო ეკონომიკაში აქტიური ჩართულობისთვის. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახრებოდა 1930-იანი წლებიდან დაწყებული ქალი-შემდუღებლების, ქალი-სნაიპერებისა თუ ქალი მეშახტის შესახებ დაწყებული აქტიური პროპაგანდა. აღნიშნული კონცეფციაც მხოლოდ ქალთა შესაძლებლობებისა და წვლილის მხოლოდ ერთგვარ ქებას წარმოადგენდა. სტალინის პოლიტიკა ქალთა საკითხის შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ ორიენტირებული ყოფილიყო ქალთა უფლებების დაცვასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე, მიზნად ისახავდა მათ მობილიზებას მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის უზრუნველყოფასა და ომისათვის ქვეყნის უკეთ მომზადებაზე. სტალინის ცნება „ახალი საბჭოთა ქალის“ შესახებ, ქალებისგან ორმაგი როლის შესრულებას მოითხოვდა, მათ უნდა შეესრულებიათ როგორც დედის, ასევე მუშაკის როლი, მაშინ როცა მამაკაცები მხოლოდ ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. სტალინმა ვერ უზრუნველყო საბჭოთა ქალებისთვის ნანატრი თანასწორობა და თავისუფლება, ვერც სამუშაო ადგილზე და ვერც ოჯახში, ვინაიდან ქალთა უფლებები და მათი საკითხი არასოდეს ყოფილა მისი პოლიტიკური დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი.

ამგვარმა მობილიზებამ ვერ უზრუნველყო ქალთა რეალური თანასწორობა და თავისუფლება. სტალინმა მიზანმიმართულად არჩია სამუშაო ადგილებზე გენდერული დისკრიმინაციის იგნორირება და მათზე თვალების დახუჭვის პოლიტიკა, რათა მთელი ყურადღება გადაეტანა რაც შეიძლება მეტი ქალის შემოკრებაზე. მისი გულგრილობა გენდერული დისკრიმინაციის მიმართ, რა თქმა უნდა, არღვევდა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს. სწორედ ამის დასტურია სტალინის მიერ „ქალთა განყოფილებების“ გაუქმება, რომლის მიზანი რეალურად უნდა ყოფილიყო ქალთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და გენდერული თანასწორობისთვის

ბრძოლა. ფაქტია, რომ ქალების დაწინაურება და მათი პრობლემების მოგვარება არასოდეს ყოფილა სტალინის ინტერესებში, რადგან მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარება, ამიტომაც მან საბოლოოდ ვერ უზრუნველყო ქალები რეალური თანასწორობით. ფორმალური თანასწორობა, რომელიც დამყარდა საკანონმდებლო დონეზე და აისახა კიდეც ქალებისთვის მინიჭებული შესაძლებლობების დიდი სპექტრით, არ აღმოჩნდა საკმარისი სქესთა შორის არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

ქალების გამოთავისუფლება ოჯახური საქმიანობიდან, როგორც ეს იგეგმებოდა რევოლუციის შემდგომ წლებში ვერ მოხერხდა, სანაცვლოდ მივიღეთ ისეთი საზოგადოებრივი მოლოდინები, რომლებიც ქალს ავალდებულებდა შრომას საზოგადოებრივ სფეროში, მაშინ როდესაც ტრადიციების გავლენა ასაქმებდა ქალს ოჯახში უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცს და ამგვარად, ერთგვარი ემანსიპაციის პარალეურად საბჭოთა პერიოდის ქალები ორმაგად დატვირთულნი აღმოჩნდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Buckley, Mary. “Women in the Soviet Union.” *Feminist Review*, no. 8, 1981, pp. 79–106. *JSTOR*, https://doi.org/10.2307/1394929. Accessed 11 Aug. 2022
2. Caimiao Liu,"Stalin’s “New Soviet Woman”" Sociology Mind, Vol.9 No.4, 2019
3. George St. George, Sovyetler Birliğinde Kadın [Our Soviet Sister], çev. S. Özbudun- O. Yener, İstanbul: El Yayınları, 1987
4. Goldman, W. (2002). Women at the Gates: Gender and Industry in Stalin’s Russia, Cambridge University Press
5. Harrison, M. (2008). Stalinism and the Economics of Wartime. Warwick: University of Warwick
6. Hutton, M. (2015). Resilient Russian Women in the 1920s & 1930s. Zea E-Books
7. Izvestiia (1936). Sistematicheskoe sobranie deistvuiushchikh zakonov Soiuza sovetskikh sotsialisticheskikh respublik. Protection of Motherhood on the Prohibition of Abortions. Moscow
8. Izvestia, (1965). November 20, 1918, reprinted in Lenin, Collected Works, Moscow, XXVIII, p. 180
9. Kolontai A. (1921). Komunistka, N 2, 1920, Communism and the familiy translated by Alix Holt. https://www.marxists.org/archive/kollonta/1920/communism-family.htm, Accessed 15 May. 2022
10. 1918 Constitution of the Russian Soviet Federated Socialist Republic, https://www.marxists.org/history/ussr/government/constitution/1918/article4.htm. Accessed 10 Feb. 2022
11. Lenin, V. I. (1977), On The Emancipation of Women Moscow: Progress Publishers
12. Martine Mespoulet. Women in Soviet society: Cahiers du CEFRES N° 30, Le communisme à partir des sociétés - Communism from the viewpoint of societies. Cahiers du CEFRES, Centre Français de Recherche en

Sciences Sociales (CEFRES), 2006, Communism from the viewpoint of societies, pp.7. ffhalshs-01160379f

13. Norton T. Dodge. (1966). Women in the Soviet Economy: Their Role in Economic, Scientific, and Technical Development, Johns Hopkins Press

14. Original Family Law of the RSFSR, Seventeen Moments In Soviet History, An on-line archive of primary sources OCTOBER 17, 1918, https://soviethistory.msu.edu/1917-2/the-new-woman/the-new-woman-texts/code-of-laws-concerning-the-civil-registration-of-deaths-births-and-marriages/. Accessed 10 Sept. 2022

15. Pankratova, A. (1957), "Soviet Women Have Equal Political Rights with Men and Take an Active Part in Government," Equality of Women in the USSR, Moscow

16. Popova, N. (1957), "Equality of Soviet Women in the Economic Sphere," Equality of Women in the USSR, Moscow

17. Pravda (1929). On the Path to a Great Emancipation

18. Pravda, no. 51 (March 8, 1921, reprinted in V. I. Lenin, Collected Works, Moscow, 1965, XXXII, p. 161-162), http://www.marx2mao.com/PDFs/Lenin%20CW-Vol.%2032.pdf. Accessed 05 Sept. 2021

19. Pravda no 213, V. I. Lenin, The Tasks Of The Working Women's Movement In The Soviet Republic, Speech Delivered At The Fourth Moscow City Conference Of Non-Party Working Women, September 23, 1919, https://www.marxists.org/archive/lenin/works/1919/sep/23a.htm. Accessed 21 Aug. 2021

20. Schuster, Alice. "Women's Role in the Soviet Union: Ideology and Reality." *The Russian Review* 30 (1971): 260

21. Stalin J. V. International Women's day, March 8, 1925, Foreign Languages Publishing House, Moscow, 1954 *Works*, Vol. 7, 1925, https://www.marxists.org/reference/archive/stalin/works/1925/03/08.htm. Accessed 30 Sept. 2021

22. Stalin J.V. Constitution (of the Uniion of Soviet Socialist Republics), With Ammendments and Additions adopted by the First, Second, Third, Sixth, Seventh and Eighth Sessions of the Supreme Soviet of the U.S.S.R. Kremlin, Moscow, December 5, 1936. https://www.marxists.org/reference/archive/stalin/works/1936/12/05.htm, Accessed 05 Oct. 2022

23. Stites, R. (1976). Zhenotdel: Bolshevism and Russian Women, 1917-1930. Russian History, 3, 174-193.

24. The USSR Mother Heroine Medal, identifymedals.com. https://www.identifymedals.com/database/medals-by-country/russia-ussr-medals/the-ussr-mother-heroine/. Accessed 26 Sept. 2022

25. Racioppi, L., & O'Sullivan, K. (1995). Organizing Women before and after the Fall: Women's Politics in the Soviet Union and Post-Soviet Russia. Signs, 20, 818-850

26. Usha, K. B (2005). Political Empowerment of Women in Soviet Union and Russia: Ideology and Implementation, Internation Studies

27. Women and Communism: Selections from the Writings of Marx, Engels, Lenin, Stalin, London, 1950

Eka Darbaidze
Tamila Niparishvili

Gender Politcs of the Early Soviet Union

Over the centuries, many women have fought for women's emancipation and their social and political changes. Work for women's emancipation was initially an important part of Bolshevik ideology, so the Great Russian Revolution of 1917 brought new hopes and expectations for women. The Soviet Union was the first country wich successfully open the door to new economic and educational opportunities for long-marginalized women. The gender policy developed and implemented by Vladimir Lenin, which brought widespread rights to women, changed significantly after his death. It was during the rule of the new leader of the Soviet government that the model of "new type of woman" was created and formed.

The purpose of this article is to research the role of women in the period of the early Bolshevik Soviet state and study the legal and political changes that took place. The paper will try to explain what was actually the main goal of Soviet gender policy, whether it changed the status of women, and what socialism ultimately brought to Soviet women.

Keywords: Women in the Soviet Union, bolshevik Revolution, communism, gender politics.